„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების 2019-2020 წლების საქმიანობის შედეგები სამეგრელოში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების მიერ 2019 წელს გამოვლენილი 78 პრობლემიდან 40 მოგვარებულია ან მომზადებულია საპროექტო წინადადებები.

ზუგდიდსა და ხობში ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი საჭიროებებიდან უმეტესობა ქალაქებისა და სოფლების სხვადასხვა უბანში გზის საფარის მოწესრიგებას, მუნიციპალური ტრანსპორტის რაოდენობის დამატებას, წყალმომარაგების სამუშაოების ჩატარებას, სარეკრეაციო ზონების, საბავშვო ატრაქციონების განახლებას და სათამაშო მოედნების კეთილმოწყობას, ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობის გაზრდას, გარეგანათების ბოძების მოწესრიგებას, სოფლებში არსებული სასაფლაოების შემოღობვას ეხებოდა.

2020 წელს საბჭოს წევრებს აქტიური მოქალაქეები წალენჯიხიდანაც შემოუერთდნენ - სოფელ ნაკიფუში ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩვენი ადვოკატირების შედეგად, დაიწყო წყლის სისტემის სრული რეაბილიტაცია - მიმდინარე წლის ბოლოს 100-მდე ოჯახს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება.

გასულ წელს, ნაკიფუ იყო ერთ-ერთი იმ 20 სოფლიდან სამეგრელოში, რომელთა ადგილობრივ მოსახლეობას ინფრასტრუქტურული საჭიროებების გამოსავლენად შევხვდით.

სამოქალაქო საბჭოს წევრების ადვოკატირების შედეგად:

ზუგდიდში

- 7 ქუჩაზე ასფალტი დაიგო, 3-ზე კი სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს
- რამდენიმე ადგილას ზებრა გადასასვლელები მოეწყო, პროცესი ამ დრომდე გრძელდება
- ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა
- ლაზის ქუჩასა და სოფელ ახალაბასთუმანში ნაგავშემკრები კონტეინერები დაემატა
- რამდენჯერმე დასუფთავდა ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ამფითეატრი და მიმდებარე ტერიტორია
- საპროექტო წინადადებები მომზადდა ცოტნე დადიანის ქუჩის #3-სთან არსებული კორპუსების საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციოდ, ვოლგოგრადის ქუჩის ხიდბოგირის გასაახლებლად და გზის საფარის მოსაწესრიგებლად
- სოფელ ჯუმში შიდა გზები დაიგო
- ნარაზენსა და კახათში სასაფლაოების ღობეები განახლდა
- ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა დაიწყო ნარაზენის ცენტრში და მდინარე ჭანისწყლის ხიდთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი მოწესრიგდა
- ანაკლიაში, დგებუაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა
- ინგირში ბავშვთა გასართობი მოედანი მოეწყო
- ჭითაწყარში სკვერი რეაბილიტირდა
- დიდინეძში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მშენებლობა მიმდინარეობს
- ახალკახათში, სოფლის ცენტრში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა მიმდინარეობს
- ალერტკარი-ყულიშკარის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დასრულდა
- ალერტკარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

ხობში

- წინაგოლაში დაიდგა გარეგანათების ბოძები, დაემატა ნაგავშემკრები კონტეინერები

წალენჯიხაში

- ნაკიფუში დაიწყო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ბაკურიანის ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ბორჯომის ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ორბელიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის პირველი ფენა დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, შოთა კიტიას ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ჩიტაძის ქუჩაზე ასფალტის საფარის პირველი ფენა დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ზუგდიდში, ჯიქიას ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღკვეთირების შედეგად

ზუგდიდში, ღაზის ქუჩაზე ნაგავშემკრები კონტეინერები დაიდგა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღდგენის შედეგად

ანაკლიაში, დგებუაძის ქუჩაზე დასრულდა მოასფალტების პირველი ეტაპი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

სოფელ დიდინეძში მოსაცდელის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღკაზმვის შედეგად

სოფელ ნარაზენში
მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყეს

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

სოფელ ნარაზენში
მდინარე ჭანისწყალთან დამაკავშირებელ გზა მოწესრიგდა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

სოფელ ჯუმში საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს